იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 20 (204)

ოქტომბერი,

1968 წელი



თბილისის უნივერსიტეტის ახალი თოთხმეტსართულიანი კორპუსი.

„ივანე ჯავახიშვილია ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა.“

პეტრე მელიქიშვილი.



ივანე ჯავახიშვილი.

ცოდნის ღიდი ტაძარი

„სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა

◆

ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმოცდამეათე წლისთავს. ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან მთელი ექვსი საუკუნის იძულებითი შუალედის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი იყო პირველი სასწავლებელი, რომელმაც ჩვენში მშობლიურ ნიადაგზე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას, ააორძინა წარსულის მდიდარი ტრადიციები და გახდა ნამდვილი მეცნიერულ-შემოქმედებითი აზრის აკვანი.

ოფიციალურად უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (ძვ სტილით) — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, იმ დავითისა, რომელმაც მე-11–მე-12 საუკუნეთა მიჯნაზე დაამარცხა მრავალრიცხოვანი უცხოელი დამპყრობნი და პირველად შექმნა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო. მეფე დავითი იყო ბრძენი განმგებელი. იგი ხელს უწყობდა და ახალისებდა სწავლა-განათლების გავრცელებას, სამეცნიერო-კულტურული ცენტრების განვითარებას. გელათსა და იყალთოში მისი თაოსნობით დაარსებული აკადემიები იმთავითვე იქცნენ სწავლა-განათლებისა და შემოქმედებითი აზრის მძლავრ კერებად, სადაც იქმნებოდა ფილოსოფიური ტრაქტატები და ლიტერატურული თხზულებანი, რომლებმაც ჩვენ დრომდე შეინარჩუნა ისტორიული და შემეცნებითი ღირებულება.

ამრიგად, საქართველოში ძველთაგანვე მოიპოვებოდა სწავლა-განათლების მძლავრი კერები. თბილისის უნივერსიტეტი მათი ტრადიციების კანონიერი მემკვიდრე და გამგრძელებელია.

თავისი არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტმა განვლო სახელოვანი და ნაყოფიერი განვითარების გზა. მან ქვეყანას მისცა 35 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის ბევრია გამოჩენილი ადამიანი, რომელებმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანეს მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ათიოდე წელიწადში უნივერსიტეტი საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა. უკვე 1922 წლისათვის იგი მოიცავდა მეცნიერული ცოდნის თითქმის ყველა ძირითად დარგს.

ასეთი დიდი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობა, ცხადია, ძალიან ძნელი იყო. ამის გამო ჩატარდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. 1928–1930 წლებში მას დამოუკიდებელ ინსტიტუტებად გამოეყო პოლიტექნიკური, სამედიცინო და აგრონომიული ფაკულტეტები.

ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების ცხოვრებაში დაიწყო ოცდაათიან წლებში, როცა ისინი აღიარებულ იქნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მეცნიერული კადრების მომზადების ძირითად ცენტრებად.

ამ დროიდან იწყება თბილისის უნივერსიტეტის სწრაფი განვითარება. იქმნება ახალი ლაბორატორიები და კათედრები. შემდგომ მათ ბაზაზე ყალიბდება რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელებიც საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნას (1941 წ.) და შევიდა მის შემადგენლობაში. ეს ჩვენი უნივერსიტეტის დიდი ისტორიული დამსახურებაა.

თბილისის უნივერსიტეტმა უდიდესი მუშაობა გასწია ცოდნის თანამედროვე დარგთა განვითარებისათვის, რამაც მას მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა და ჩააყენა მოწინავე უნივერსიტეტთა რიგებში.

თბილისის უნივერსიტეტი მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფით არის დაკავშირებული წარსულის სულიერ მემკვიდრეობასთან. გარკვეული თვალსაზრისით იგი ჩვენი ხალხის ძველი კულტურული ტრადიციების პირდაპირი მემკვიდრე და გამგრძელებელია. ჩვენმა მეცნიერებმა, გამოიყენეს რა ძველი ქართული ლიტერატურის მრავალრიცხოვანი ძეგლები და ფილოსოფიურ-მეცნიერული ტრაქტატები, რომლებიც საქართველოსა და სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და წიგნსაცავებშია თავმოყრილი, ხშირ შემთხვევაში ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებში, შეიმუშავეს თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგია, დაწერეს სახელმძღვანელოები და მყარი ტრადიციები შეუქმნეს მეცნიერულ დისციპლინათა სწავლებას მშობლიურ ენაზე. ამან გაუადვილა ქართველი ახალგაზრდობის ფართო ფენებს უმოკლესი გზით ზიარებოდნენ მეცნიერებას, შეეძინათ მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის ჩვევები, გამოეყენებინათ მდიდარი შესაძლებლობანი მშობლიური სალიტერატურო ენისა, რომელზედაც წერილობითი ძეგლები მოიპოვება მე-5 საუკუნიდან და რომელმაც სრულყოფის მაღალ საფეხურს მიაღწია ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, როცა შეიქმნა გენიალური რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ — მხატვრული შემოქმედების ეს უბადლო ნიმუში.

ივანე ჯავახიშვილის, მის თანამოკალმეთა და მოწაფეთა ფუნდამენტური ნაშრომების წყალობით უფრო სრულად იქნა წარმოსახული საქართველოს ისტორიის სურათი, უძველესი დროიდან მოკიდებული. გამოვლინებულია საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ძველი ცივილიზაციის ხალხებთან, ბერძნულ და ელინისტურ სამყაროსთან, რომსა და ბიზანტიასთან, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიისა და სხვა ქვეყნებთან.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი ისტორიკოსების შესანიშნავი არქეოლოგიური აღმოჩენები, აგრეთვე ეთნოგრაფიული გამოკვლევები (გიორგი ჩიტაია), რომლებიც ფართო ფრონტით წარმოებს, დიდმნიშვნელოვანი ნაშრომებია შესრულებული მატერიალური კულტურისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების ყოველმხრივი შესწავლისათვის (გიორგი ჩუბინაშვილი), ძეგლებისა, რომლებთაც ასე მდიდარია საქართველო.

მეტად დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა უნივერსიტეტმა ლინგვისტური პრობლემების დამუშავებაში. ამ მიმართულებით აქ ინტენსიური მეცნიერული მუშაობა წარმოებს უნივერსიტეტის დაარსებიდანვე. ფუძემდებლური საენათმეცნიერო ნაშრომები შექმნეს იოსებ ყიფშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი ახვლედიანმა.

თბილისის უნივერსიტეტში ჭეშმარიტად ტიტანური შრომაა გაწეული ძველი ქართული ლიტერატურის დიდძალი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის დარგში, აგრეთვე ზოგად ლიტერატურათმცოდნეობასა და ფოლკლორისტიკაში. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას უნივერსიტეტში სათავე დაუდო კორნელი კეკელიძის ფუნდამენტალურმა ნაშრომებმა, რომლის მოწაფეები წარმატებით განაგრძობენ მის დაწყებულ საქმეს. დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებს კლასიკური ფილოლოგიის დარგში. ამ ძნელ დარგს, რომელიც ფართოდ შეისწავლება, უნივერსიტეტში მყარი ტრადიციები დაუმკვიდრა გრიგოლ წერეთელმა. ეს ტრადიციები წარმატებით განაგრძეს სიმონ ყაუხჩიშვილმა და მისმა მოწაფეებმა.

ქართველ მეცნიერთა ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევები შეჯამებულია ვრცელ მონოგრაფიებსა და სხვა ნაშრომებში, რომლებიც ქართულად და რუსულად გამოქვეყნდა. ბევრი მათგანი თარგმნილია უცხო ენებზე, ხოლო ზოგიერთს მინიჭებული აქვს ლენინური და სახელმწიფო პრემიები.

უნივერსიტეტის კედლებში აღიზარდა მეცნიერ-ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა დიდი რაზმი, რომელიც ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევა-ძიებას ეწევა. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით შალვა ნუცუბიძეს და დიმიტრი უზნაძეს.

ჩვენს უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ეკონომიურ და იურიდიულ მეცნიერებებში. ამაში დიდი როლი შეასრულა სოციალურ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა, რომელიც 1922 წელს ჩამოყალიბდა ფილიპე გოგიჩაიშვილისა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის თაოსნობით.

თუ ისტორიულ-ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ დისციპლინებში საქართველოში ადრეც, უნივერსიტეტის გახსნამდე არსებობდა სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის გარკვეული ტრადიციები, ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში ადგილობრივ არ გაგაჩნდა თითქმის არავითარი გამოცდილება და ყველაფერი თავიდან უნდა დაგეწყო.

საქართველოში უმაღლეს განათლებას ფიზიკა-მათემატიკაში საფუძველი ჩაუყარა მეცნიერთა მცირე ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ ანდრია რაზმაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ანდრია ბენაშვილი, გიორგი ნიკოლაძე და არჩილ სარაძე, მალე (1920 წ.) მათ შეუერთდა ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

უნივერსიტეტმა აღზარდა მეცნიერთა და სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ნაყოფიერად მუ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ამ ნომერში დაბეჭდილი მასალები ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავს

მიესალმებიან, ულოცავენ

„სამეფო საზოგადოება კმაყოფილების გრძნობით ულოცავს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე აღმოცენებულმა უნივერსიტეტმა ღირსშესანიშნავ შედეგებს მიაღწია მეცნიერებაში, განსაკუთრებით მათემატიკასა და ფიზიოლოგიაში.

სამეფო საზოგადოება ამასთან მადლიერებით აღნიშნავს მჭიდრო თანამშრომლობასა და პირად მეგობრობას სამეფო საზოგადოების ზოგიერთ წევრსა და თბილისელ მეცნიერებს შორის და უსურვებს უნივერსიტეტს შემდგომ წარმატებებს მეცნიერული ცოდნის გამდიდრების საქმეში ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

პრეზიდენტი პ. გლეკეტი“.

ლონდონი.

1968 წლის ოქტომბერი.

საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ ის დიდი სიხარული, რასაც მე განმაცდევინებდა სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილეობის მიღება და ჩემი დიდად პატივცემული კოლეგების კვლავ ხილვა.

ნება მომეცით, გადმოგცეთ ჩემი უღრმესი სინანული იმის გამო, რომ ვერ ვახერხებ ჩამოსვლას, და ამავე დროს გამოვხატო ჩემი ყველაზე თბილი სურვილები თქვენი უნივერსიტეტის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით. დაე მომავალმა ნახევარმა საუკუნემ აღუსრულოს ჩემი სურვილები თბილისის უნივერსიტეტს.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა და განსაკუთრებული სურვილები.

მორის რუა,

საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

პარიზი.

ვუსურვებ თქვენს შესანიშნავ უნივერსიტეტს შემდგომ დიდ წარმატებებს. დარწმუნებული ვარ, რომ 50 წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს მოჰყვება კიდევ მეცნიერების საკეთილდღეოდ მიძღვნილი მრავალი წელი, რაც საქართველოს დაუმკვიდრებს მაღალ და მტკიცე ადგილს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

რიჰარდ კურანტი,

ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან არსებული კურანტის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი.

ნიუ-იორკი.

გამოვთქვამ სურვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდებისათვის, და ქართული მეცნიერებისა და ენის აყვავებისათვის.

გაუმარჯოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს დიდებულ ხალხს!

რენე ლაფონი,

პროფესორი, დოქტორი.

ბორდოს უნივერსიტეტი.

(წერილი გამოგზავნილია ქართულად).

დედაბოძი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ის მადლიანი კერა, რომელმაც სათავე დაუდო ახალ ქართულ კულტურასა და მეცნიერებას. ამიტომ იქცა დღევანდელი იუბილე ჩვენი ეროვნული კულტურის, მთელი ჩვენი მეცნიერების დიდ ზეიმად.

ეს ნამდვილად სახალხო დღესასწაული განსაკუთრებით ახლობელი და მშობლიურია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის, რომელიც ღვიძლი შვილია თბილისის უნივერსიტეტისა. ჩვენი უნივერსიტეტისათვის ორი ათეული წელი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ყოველმხრივ მოემზადებინა პირობები ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შესაქმნელად.

ცნობილია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა ძირითადად იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ბაზაზე, რომლებიც მანამდე თბილისის უნივერსიტეტთან არსებობდა. მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრთა დიდი უმრავლესობა თბილისის უნივერსიტეტის თავდაპირველი მესვეური და აღზრდილი იყო. თბილისის უნივერსიტეტი ყოველთვის იყო და არის სიბრძნის ის მაცოცხლებელი წყარო, რომელიც გულუხვად აწვდის აკადემიას, მის სამეცნიერო დაწესებულებებს სულ სხვადასხვა დარგის ღრმად განსწავლულ სპეციალისტებს, მკვლევართა შესანიშნავ კადრებს.

არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტმა განვლო დიდი შემოქმედებითი გზა და გვერდით ამოუდგა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ისეთ უნივერსიტეტებს, რომლებსაც საუკუნეების ისტორია აქვთ. დღეს თბილისის უნივერსიტეტის მიღწევები მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, გეოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში, ფსიქოლოგიაში და მეცნიერების არა ერთ სხვა დარგში ფართოდ ცნობილი და დიდად დაფასებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

ჭეშმარიტად დიდია თბილისის უნივერსიტეტის წარმატებები. კიდევ უფრო ბრწყინვალეა მისი პერსპექტივები. ამის საწინდარია ის შეუნელებელი მზრუნველობა, რასაც უნივერსიტეტისადმი, მისი ნიჭიერი და შრომისმოყვარე კოლექტივისადმი იმთავითვე იჩენდნენ და სულ უფრო მეტად იჩენენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

მსოფლიოში ცნობილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლის უბილეს შესახებ ბევრი რამ კარგი უკვე ითქვა და დაიწერა, ჩვენ მისი დამაარსებელნი, მოწმენი ვართ, რა დიდი ხალისიანი შრომითა და სიყვარულით მიმდინარეობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევა-ძიების კერებისა და დედაენაზე საჭირო სახელმძღვანელო ების შექმნა.

პროფესორ - მასწავლებლები დიდი ენერგიით ეწეოდნენ უამრავი სპეციალისტის მომზადებას, რაც კი ესაჭიროებოდა ჩვენს მშობლიურ საქართველოს სწავლა-განათლებისათვის და აგრეთვე ახალგაზრდების მომზადების მხრივ მეცნიერული მუშაობისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის მრავალი კაბინეტი და ლაბორატორია თავისი ღირსშესანიშნავი გამოკვლევებით ცნობილი გახდა მთელი მსოფლიოს მეცნიერთა შორის. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებამდე ჩვენი უნივერსიტეტი საუკეთესოდ ასრულებდა თავის პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას, წარმართავდა მას მეცნიერების ისეთივე მაღალ დონეზე, როგორც სხვა საუკეთესო უნივერსიტეტებში იყო.

ყველა დარგის მეცნიერება ამ უკანასკნელ წლებში დიდი სისწრაფით ვითარდება, ასევე სწრაფად რთულდება კვლევა-ძიების ტექნიკური ბაზა. ამასთან დაკავშირებით კვლევის საგნად გახდა ორგანული და არაორგანული ბუნების მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთა სწავლება და გამოკვლევა ძალიან ძნელდება ლაბორატორიების სათანადო აღჭურვილობის უქონლობის გამო.

ამავე დროს, როგორც საკავშირო აკადემიის, ისე რესპუბლიკური აკადემიების ინსტიტუტები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი კვლევა-ძიების ტექნიკური ბაზა გაცილებით უკეთესია და უმეტესად არ ჩამორჩება მეცნიერების განვითარების დონეს მსოფლიოში და ზოგიერთ დარგში კიდეც გადაჭარბა მას.

ჩვენი მთავრობის ინიციატივით, მათი უშუალო ხელმძღვანელობით სწრაფად აშენდა უნივერსიტეტის ახალი 14-სართულიანი შენობა სრულიად ახალი დღევანდელი არქიტექტურის ტიპისა, რომელიც არც გრანდიოზულობით და არც სილამაზით დიდად არ ჩამორჩება მსოფლიოს მრავალ ცნობილ უნივერსიტეტს, რომლებიც მე წელს შეირთებულ შტატებში ყოფნის დროს დავათვალიერე.

ივანე ბერიტაშვილი.



სურათზე: მარცხნიდან — ილია ვეკუა, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ვიქტორ კუპრაძე.

ჩვენი სიამაყე

მე ბედნიერი ვარ, რომ გვერდში ვიდექ დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს ივანე ჯავახიშვილს და მონაწილეობას ვიღებდი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ამ ნახევარი საუკუნის წინათ. მე მოწმე ვარ იმ დიდი აღფრთოვანებისა, რომლითაც მიეგება მთელი ქართველი ერი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას, რომ საკუთარ მიწა-წყალზე საკუთარი უმაღლესი სკოლა გვქონოდა. მას შემდეგ ერგასმა წელმა ჩემ თვალს წინ გაირბინა; ამ ხნის განმავლობაში მუდამ უნივერსიტეტის სამსახურში ვიდექ და თვალ-ყურს ვადევნებდი მის ზრდასა და განვითარებას. დღეს, 50 წლის თავზე, პირდაპირ გაოცებული ვარ, რომ ვხედავ, თუ რამდენად გაშალა ფრთები მცირე ძალებით, მაგრამ დიდი იმედებით დაწყებულმა საქმემ, და ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

1918 წლის 26 იანვარს სამად-სამი ოთახი იყო უნივერსიტეტის მესვეურთა განკარგულებაში. დღეს კი გვაქვს სამი დიდი კორპუსი და რამდენიმე მომცრო. ამათგან ერთი დიდი კორპუსი — 14-სართულიანი შენობა პირველი ბუმბერაზია, რომელიც ამაყად აიმართა დელისში, ვერე მდინარის მარცხენა ნაპირას, სადაც მთელი სა-უნივერსიტეტო უბანი გაიშლება, გაშენდება და დამშვენდება მოკლე ხანში, იქ ვერეზე ხიდი გაიდება, წყალი დაგუბდება, საცურავი და სანაოსნო პირობები შეიქმნება; გარშემო წალკოტები გაჩნდება. მარჯვენა მხარესაც აშენდება კოტეჯები და საერთო საცხოვრებლები.

საყურადღებო ის არის, რომ უნივერსიტეტის მშენებლობა განცალკევებით არ დგას. ამას წინათ მწყობრში ჩადგა მშვენიერი და ძვირფასად მოწყობილი შენობა სოფლის მეურნეობის ინსტიტუტისა, რომელიც ქალაქიდან გავიდა და დიღმის ველზე დაბინავდა. ეს ინსტიტუტი ერთი იმ ინსტიტუტთაგანია, რომლებიც უნივერსიტეტის წიაღში წარმოიშვა. სასიხარულოა, რომ ამ ინსტიტუტმა თავის მხრივ წარმოშვა ახალი ინსტიტუტი — ზოოვეტერინარული, რომელიც აგრეთვე ქალაქიდან გავიდა და თბილისს ქვემოთ, კრწანისის ველებზე დაიდო ბინა.

მაგრამ შენობებსა და მოწყობილობას ხომ თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია შენ აღზრდილი და ცოდნით აღჭურვილი ხალხი. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს, დავრწმუნდებით, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში უნივერსიტეტმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. აღუზარდა მრავალი სპეციალისტი სხვადასხვა დარგში და შეამზადა ნიადაგი მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის. დღეს ჩვენი ხალხი ის აღარაა, რაც იყო ამ ნახევარი საუკუნის წინათ: იგი ამაღლდა კულტურულად, გაძლიერდა ეკონომიურად, წელში გასწორდა უფლებრივად.

დიდი ერთსულოვნება იყო უნივერსიტეტის დაარსებისას და დიდი ერთსულოვნებაა დღესაც, რადგანაც უნივერსიტეტმა გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მაგრამ მოწეულით ვერ დავკმაყოფილდებით. მომავალმა კიდევ უფრო უნდა წაგვწიოს წინ მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში.

გაუმარჯოს სახელოვან იუბილარს, ჩვენი წინსვლის მედროშეს! გაუმარჯოს ერგასი წლის უნივერსიტეტს!

აკაკი შანიძე.



სურათზე: ლექციას კითხულობს აკაკი შანიძე.

მზაკვრული ფუძე

უკვე 50 წელია, რაც საბჭოთა საქართველოში არსებობს უნივერსიტეტი, და როდესაც ქართველი კაცი ლაპარაკობს თავისი ქვეყნის დღევანდელ ბედნიერებაზე, ის პირველ რიგში სიამაყით იტყვის ხოლმე, რომ საქართველოს აქვს თავისი მძლავრი უნივერსიტეტი, რომელიც საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის უფრო ხნოვან უნივერსიტეტებს ამოუდგება გვერდში.

როგორც ჩანს, ქართველ ხალხს ძველთაგანვე მიუწევდა გული მეცნიერებისაკენ (საკმარისია დავასახელოთ აკადემიების არსებობა ძველ საქართველოში — კოლხიდისა, აგრეთვე საზღვარგარეთული ქართული სამეცნიერო ცენტრები პალესტინაში, პეტრიწონში და სხვ.) და ეს სურვილი და მისწრაფება არ შეწყვეტილა XIX საუკუნემდე, როდესაც ჩვენი მოწინავე ადამიანები ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ უმაღლესი განათლების ცენტრის შექმნაზე — დაწყებული სოლომონ დოდაშვილითა და გათავებული დიდი ილია ჭავჭავაძით. ცნობილია, მაგალითად, რომ შენობა, რომელშიც უნივერსიტეტი გაიხსნა, შენდებოდა სააზნაურო გიმნაზიისათვის, გამიზნული კი იყო, ილიას ჩანაფიქრით, მომავალი უნივერსიტეტისათვის...

საჭირო იყო მხოლოდ გაბედული მოქმედება დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებისა... ეს იყო ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც შექმნა საზოგადოებრივი აზრი, მანვე შეარჩია და შეკრიბა მომავალი უნივერსიტეტისათვის საჭირო პირველი ქართველი მეცნიერი მუშაკები; და 50 წლის წინათ აუსრულდა ქართველ ხალხს დიდი ხნის ნანატრი.

თუ რა მისცა ჩვენს ქვეყანას უნივერსიტეტმა, ასე ძლიერად რომ შეიყვარა ქართველმა ხალხმა, ამაზე ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. აქ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ უნივერსიტეტმა და მისგან განშტოებულმა ინსტიტუტებმა მთლიანად მოიცვეს ჩვენი ხალხის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრება. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი კუნჭული, რომელსაც არ შეხებოდეს უნივერსიტეტისა და მისგან გამონაყოფი ინსტიტუტების მუშაობა.

ეს ის პერიოდია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის, როცა ხდებოდა სკოლისა და დაწესებულებათა გაეროვნულება: სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენა, სკოლისათვის სახელმძღვანელოების შედგენა... ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი მასშტაბი უნდა ჰქონოდა უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების მუშაობას...

მათი მუშაობის გვირგვინია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი მრავალი ინსტიტუტით, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის პირველ მუშაკებთან ერთად უნივერსიტეტისა და მისგან გამონაყოფი ინსტიტუტების მიერ აღზრდილი მეცნიერები, რომელნიც უკვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ მსოფლიო მეცნიერების მრავალი დარგის განვითარებაში.

გიორგი ახვლედიანი.

ერის დიდება

ნახევარი საუკუნის წინათ განხორციელდა მოწინავე ქართველ მოღვაწეთა სანუკვარი ოცნება. სასიქადულო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი მოქალაქისა და პატრიოტის ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ჩვენს დედაქალაქში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, რომლის წიაღიდან წარმოიშვა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა თავისი გამოკვლევებით მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ჩვენს სამშობლოს.

სწორედ უნივერსიტეტის დახმარებით მოგვეცა საშუალება თავი მოგვეყარა და შეგვესწავლა ერის კულტურული საუნჯე. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს სსრ კავშირში შემავალი ხალხების ეროვნული კულტურის ძეგლების დაცვასა და მეცნიერულ შესწავლას.

ჯერ კიდევ 1922 წელს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის საფუძველზე საქართველოს გადაეცა სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, ქართული ხელნაწერები, რომლებიც წაღებული იყო საქართველოდან მეფის მთავრობის მიერ. ამ დადგენილების საფუძველზე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საჯარო მუზეუმიდან მივიღეთ ძველი ქართული ხელნაწერები, ისტორიული და სხვა დოკუმენტები. გადმოგვეცა მინანქრების ძვირფასი კოლექციაც, რომელიც ინახებოდა ბოტკინის კოლექციაში და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული მნიშვნელობის ამბავი, რომელიც მოხდა 1945 წლის დასაწყისში: დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში პარიზიდან დააბრუნეს ის დიდი სამუზეუმო განძი, რომელიც 1921 წელს წაიღეს საზღვარგარეთ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაძაბული მუშაობის შედეგად შეიკრიბა ქართული კულტურის, ხელოვნების. ძველი მწერლობის ძეგლები, რომლებიც დაცული იყო ქართული კულტურის ძველ საგანძურში. ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორი გახლდათ უნივერსიტეტის დამაარსებელი ი. ჯავახიშვილი, რომლის თაოსნობით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დაფუძნდა არქეოლოგიური სექცია. იგი მიზნად ისახავდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების შეკრებასა და მეცნიერულ შესწავლას. ერთდროულად ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ჩუბინაშვილი, მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი.

ახლად შეკრებილი სამუზეუმო კოლექციების რაციონალური განაწილების შედეგად 1934 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომლის კოლექციები ფართოდ არის ცნობილი. საგრძნობლად გამდიდრდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი.

ამ საზეიმო დღეს გვსურს ვუსურვოთ ერის მაღალ მუზეს — უნივერსიტეტს, მის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტთა კოლექტივს ახალი მიღწევები სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში.

შალვა ამირანაშვილი.

ცოდნის დიდი ჯაჭარი

(გაგრძელება)

შაობენ თანამედროვე მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის სხვადასხვა დარგში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ, რომელსაც აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი მეთაურობს. ქართველ მათემატიკოსთა მრავალი მონოგრაფია და ნაშრომი თარგმნილია უცხო ენებზე, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა ლენინური და სახელმწიფო პრემიები დაიმსახურა.

საქართველოში ფიზიკის მეცნიერებათა განვითარება უნივერსიტეტში დაიწყო. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ბირთვულ ფიზიკაში, დაბალ ტემპერატურათა, ნახევარგამტართა ფიზიკაში და ფიზიკის ზოგიერთ სხვა დარგში.

თბილისის უნივერსიტეტმა დიდი მუშაობა გასწია კადრების მომზადებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარებისათვის ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში, აგრეთვე გეოფიზიკაში.


უკანასკნელ წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიჯნაზე წარმოიშვა ცოდნის არა ერთი ახალი დარგი. მათ რიცხვს ეკუთვნის კიბერნეტიკა. ამ დარგში ჩვენს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ინტენსიურად ჩაღდება. ამასთან დაკავშირებით კიბერნეტიკის ფაკულტეტს უნივერსიტეტში ეკისრება სათანადო მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის დიდი ამოცანა.

ბიოლოგიურ გამოკვლევებს თბილისის უნივერსიტეტში მდიდარი ტრადიციები აქვს. საქვეყნოდ აღიარებული შრომები ქართველ ფიზიოლოგთა სკოლისა, რომელსაც აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი მეთაურობს, ძირითადად შესრულებულია უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში. განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს ბიოლოგიის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ბიოქიმია და ბიოფიზიკა. მათი განვითარებისათვის უნივერსიტეტში ხელსაყრელი პირობები იქმნება.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ქიმიის მეცნიერებათა დარგში. ამ დარგში აქ მუშაობა დაიწყო სახელოვანი მეცნიერის, ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველ გეოლოგთა და მინერალოგთა თეორიული და პრაქტიკული მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს, სადაც იმთავითვე მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ჯანელიძე და ალექსანდრე თვალჭ-

(დასასრული მე-5 გვერდზე).



სურათზე: მარცხნიდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ა. შანიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნოვოსიბირსკის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ს. სობოლევი, ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლანგი.

მშობლიური

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს, როგორც დიდმნიშვნელოვან თარიღს ქართული კულტურის ისტორიაში. ეს გასაგებიც არის.

წარსულში ქართველ ხალხს შეუქმნია განათლების არა ერთი მძლავრი კერა (მათ შორის: გელათისა და ოყალთოს აკადემიები), მაგრამ უნივერსიტეტი, როგორც სპეციფიკური უმაღლესი სასწავლებელი, ძველმა სამყარომ არ იცოდა (ყველაზე ძველ უნივერსიტეტად ითვლება ბოლონიის უნივერსიტეტი იტალიაში XII საუკუნეში დაარსებული).

თბილისის უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია ქართული კულტურის ისტორიაში.

1919 წლის იანვარში უნივერსიტეტს ერთი ფაკულტეტი ჰქონდა (სიბრძნისმეტყველებისა ანუ ფილოსოფიისა), 14 პროფესორი და პროფესორის მოადგილე ჰყავდა, მასში ოთხასამდე სტუდენტი ირიცხებოდა.

დღეს უნივერსიტეტში თითქმის იმდენივე ფაკულტეტი გვაქვს, რამდენიც მაშინ პროფესორი გვყავდა.

უნივერსიტეტმა ჩვენს ქვეყანას მოუმზადა მრავალი ათასი სპეციალისტი.

უნივერსიტეტში სათავე დაიდო თითქმის ყველა ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებელმა. სამედიცინო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი უნივერსიტეტის ყოფილი ფაკულტეტებია; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტის გამონაყოფია...

უნივერსიტეტმა შეამზადა ნიადაგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის, უნივერსიტეტში ჩაეყარა საძირკველი რიგ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია (ეს ინსტიტუტებია: მათემატიკისა, ფიზიოლოგიისა, გეოლოგიისა... ენათმეცნიერებისა, ქართული ლიტერატურისა, ქართული ხელოვნების ისტორიისა...).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის 16 წევრისაგან 13 ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო მიმდინარეობა მათემატიკაში, ფიზიოლოგიაში, გეოლოგიაში, ასტრონომიაში... ფსიქოლოგიასა და რიგ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

თბილისის უნივერსიტეტში ჩაისახა, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ავტორიტეტი იზრდება და იზრდება იმისდა კვალად, რა მიღწევებიც გვაქვს სამეცნიერო კვლევა-ძიების მხრივ: მეცნიერებაში ეს ერთადერთი საზომია.

ამ მიღწევებმა მოუპოვეს ჩვენს უნივერსიტეტს საპატიო ადგილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებს შორის.

და მაინც ჩვენი უნივერსიტეტის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის არ ამოიწურება აქამდე თქმულით.

მეცნიერების შინაარსი ერთია, ითქმის კი სხვადასხვა ენაზე.

ჰუმანიტარულ დარგებს ჩვენში ქართულად მეტყველების გარკვეული ტრადიცია ჰქონდათ; საბუნებისმეტყველო დარგებს კი (ქიმია, ფიზიკა...) ამ მხრივ მცირე მემკვიდრეობა მოეპოვებოდათ.

თანამედროვე სამეცნიერო დარგების ცნებებს ქართული ტერმინები ესაჭიროება; ეს ტერმინები არ გვქონდა და უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტის დამაარსებელი ივ. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ტერმინოლოგიის დამუშავების ძალზე საჭირო საქმეს; სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (მათემატიკოსები, ქიმიკოსები, მედიცინის, ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები) გატაცებით მუშაობდნენ იმისათვის, რომ თავიანთი დარგის ტერმინოლოგია შეექმნათ და ქართულად საუნივერსიტეტო კურსები წაეკითხათ.

ამჟამად არ არსებობს ისეთი სამეცნიერო სპეციალობა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა ქართულად არ შეიძლებოდეს.

ქართული ენა ამჟამად, როგორც იტყვიან, პოლივალენტურ სალიტერატურო ენაა, ე. ი. ენა, რომელსაც ფუნქციათა მაქსიმუმი მოეპოვება, და ამაში სამეცნიერო დარგების, მათი ტერმინოლოგიის ქართულად დამუშავებას დიდი წილი უდევს.

დღეს ეს სატერმინოლოგიო მუშაობა ისევე, როგორც ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს.

სახელმწიფოს ზრუნვის საგანია უნივერსიტეტის ზრდა-განვითარებაც: ამ ზრუნვის ხელშესახები გამოხატულებაა უნივერსიტეტის ახალი კორპუსი — თოთხმეტსართულიანი შენობა, უნივერსიტეტს რომ გადაეცა საიუბილეო დღეებში.

ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა მეცნიერთა კერძო ჯგუფის ინიციატივით; საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო დიდი ქართველი მეცნიერი და მოქალაქე ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახელს განუყრელად უკავშირდება ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინების საქვეყნო საქმე.

ჰეშმარიტად დიდი საქმის ნამდვილი მნიშვნელობის სწორად დანახვას დისტანცია ესაჭიროება: ეს მნიშვნელობა შორიდან უკეთ ჩანს.

ორმოცდაათ წლისთავზე ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობა კარგად ჩანს. გაივლის წლები და ეს მნიშვნელობა უკეთ გამოჩნდება.

არნოლდ ჩიქობავა.

„უნივერსიტეტის შენობის აშენების ინიციატორი და სულისჩამდგმელი — ილია ჭავჭავაძე, მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე — ნიკო ცხვედაძე, ხუროთმოძღვარი-მშენებელი — სვიმონ კლდიაშვილი“.

ასეთი მემორიალური დაფა ამშვენებს ჩვენს უნივერსიტეტს.

ცოდნის დიდი ჯაჭარი

(დასასრული)

რელიძე, მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს შესრულებული ფაკულტეტის გეოგრაფიის განყოფილებას (ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი გეხტმანი).

თბილისის უნივერსიტეტი თავიდანვე ახორციელებდა ფართო კონტაქტს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან.

მრავალ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერს ვიწვევთ ჩვენთან ლექციების წასაკითხავად. სამაგიეროდ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობენ ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლები; ისინი აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

უნივერსიტეტის სიმდიდრე — ეს მისი ახალგაზრდობაა. თბილისის უნივერსიტეტს ჰყავს ასობით წარჩინებული სტუდენტი, ასპირანტი და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. უნივერსიტეტის საქმიანობის ცენტრში დგას სტუდენტი. ზრუნვა მისი ყოველმხრივი აღზრდისათვის — აი, რა არის უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანა. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტის 15 ფაკულტეტი და 103 კათედრა, რომლებიც აერთიანებს ათასზე მეტ პროფესორსა და მასწავლებელს, მათ შორის — 175 პროფესორსა და მეცნიერებათა დოქტორს, 500-მდე დოცენტსა და მეცნიერებათა კანდიდატს.

უნივერსიტეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მეცნიერთა ახალი თაობების აღზრდა. ამ მხრივ აქ თავდავნე კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. პირველივე გამოშვებიდან საუკუთესონი უნივერსიტეტმა საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დატოვა. მათი უმრავლესობა — სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ვარლამ თოფურია, თამარ ლომოური და კონსტანტინე ბაქრაძე — შემდგომ ცნობილი მეცნიერები გახდნენ. 30-ანი წლებიდან სწრაფად იზრდება ასპირანტთა და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში წამყვანი როლის შემსრულებლად თანდათანობით გვევლინება იმ მეცნიერთა თაობა, რომლებმაც უნივერსიტეტი პირველი წლების მომდევნო ხანებში დაამთავრეს.

საიუბილეოდ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი განხორციელდა. ამ ღონისძიებათა ვგონებრივი ახალი 14-სართულიანი კორპუსის გადმოცემა, რომელიც აგებულ იქნა უაღრესად შემჭიდროვებულ ვადებში. ეს შესანიშნავი საჩუქარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს დღესასწაულს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლო მომავალში დამთავრდება ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის კორპუსი. საკავშირო სადირექტივო ორგანოებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება ახალი საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის შესახებ საბურთალო-ბაგების რაიონში. მშენებლობის ამ დიდი პროგრამის განხორციელება გარდატეხის ეტაპი იქნება უნივერსიტეტის ცხოვრებაში. იგი შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ უნივერსიტეტის მთელი მუშაობის დონე და ახალი, უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

ᲐᲣᲓᲔᲛᲠᲬᲚᲘᲚᲜᲘ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲪᲐᲛᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ



მის წილად ხვედრილი გამარჯვება მით უმეტეს აღსანიშნავია იმიტომ, რომ მომღერალი გამოდიოდა ფრანგული გრანდ-ოპერის არტისტებთან ქ-ნ ბრევალ და ფლატასთან ერთად, რომლებმაც იმდენი თავაზიანობა გამოიჩინეს, რომ მონაწილეობა მიიღეს ამ ბრწყინვალე მუსიკალურ კონცერტში, რომელიც ყველაზე რჩეული აუდიტორიის წინაშე გაიმართა“.

ფრანგული პრესა დიდი აღტაცებით ეგებებოდა „პრინცესა ჭავჭავაძის“ თვითეულ საკონცერტო გამოსვლას და ყველა ერთხმად დიდ მერმისს უქადდა მომღერალ ქალს. უმაღლესი ვოკალური განათლებით აღჭურვილი კ. გურამიშვილი 1899 წელს პარიზიდან პეტერბურგისაკენ გამოემგზავრა და თან წამოიღო საიმპერატორო თეატრის დირექტორ ვსევოლოჟსკისადმი დეზირე არტო-დე პადილას სარეკომენდაციო ბარათი.

კ. გურამიშვილს პეტერბურგში სამოღვაწეო ასპარეზი დაუხვნეს თუ თავისი ნებით წამოვიდა, უცნობია. ეს კია, რომ პარიზის მუსიკალურ სალონებში ბრწყინვალე გამოსვლებისა და აღიარების შემდეგ 1899 წლის მაისში კ. გურამიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და კიდევ უფრო დიდი წარმატებით გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებსა და კონცერტებზე პიანისტ მატკოვსკისთან და მევიოლინე სერებულოვთან ერთად.

კ. გურამიშვილს საგასტროლოდ ხშირად იწვევდნენ ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში, სადაც მას დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ და დაუცხრომელი ტაშით სიმღერებს ამეორებინებდნენ. ურიცხვ თაიგულებს გარდა გურამიშვილი ხშირად ღებულობდა ძვირფას საჩუქრებსაც მადლიერი მსმენელებისა და თაყვანისმცემლებისაგან. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დამსახურებულ მომღერალს მიართვა ვერცხლის ძვირფასი ლარნაკი, რომელშიც ჩადებული იყო მადლობის გამომსატველი ვრცელი ადრესი. იგი ამჟამად კ. გურამიშვილის პირად არქივში ინახება.

კ. გურამიშვილი კიდევ დიდხანს დაატკბობდა თანამემამულეებს, პროფესიონალებს რომ ამოსდგომოდა გვერდში, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო იგი თანდათან ჩამოსცილდა ხელოვნებას და შემდეგ სრულიად ჩაიკეტა სახლში. ახლა ალბათ ძალიან ცოტას, ძველი თაობის ხანდაზმულ მელომანებს თუ ახსოვთ კლარა გურამიშვილი, მაგრამ ამიერიდან ჩვენი თაობაც პატივს სცემს მის ნათელ სსოვნას.

• • •

სწავლა-განათლებას მოწყურებული და ხელოვნების მოტრფიალე ქართველი ქალები მშობლიური დაწყებითი თუ საშუალო ცოდნის მიღებისა და მოსკოვ-პეტერბურგში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ცოდნის გასაღრმავებლად მსოფლიოს კულტურის ცენტრებში მიემგზავრებოდნენ. ბევრი მათგანი უკან უბრუნდებოდა საქართველოს, უმცირესობა რუსეთის ქალაქებში ნებით თუ უნებლიეთ რჩებოდა და იქ მოღვაწეობდა, ხოლო ზოგიერთი სამშობლოს სცენის სივიწროვის, სამოქმედო სარბიელის შეზღუდულობისა და პრიმიტიულობის ან სხვა მიზეზების გამო საზღვარგარეთ რჩებოდა და დაუფლებულ ცოდნას ენერგიის დაუზოგავად ახმარდა ხელოვნებას. ამ უკანასკნელთაგან ანუ მშობლიურ მხარეს სამუდამოდ მოწყვეტილ ქართველ ქალთაგან ყველაზე მეტად ღვაწლმოსილია ელენე თარხნიშვილი, რომელიც თავის ცხოვრების მეორე ნახევარში მართლაც რომ ბუდემოშლილ ბულბულს დაემსგავსა.

ქართლში გაზრდილმა „ბუდემოშლილმა ბულბულმა“ 15 წელი იგალობა უცხო მხარეში, 15 წელი დიდი წარმატებებით ასრულებდა ლირიკულ-კოლორატურული სოპრანოსათვის განკუთვნილ პირველ პარტიებს იტალიის საოპერო სცენებზე, 28 წელიწადს კი გულმოდგინედ ზრდიდა ჩინებულ მომღერლებს დაუზარელი მასწავლებელი. იტალიაში 43 წლის უნგაროო არტისტული და პედაგოგიური მოღვაწეობის მიუხედავად ე. თარხნიშვილს პენსიაც კი არ დაუნიშნეს. დავრდომილი წამალსაც ვერ ყიდულობდა სიძვირისა და უასხრობის გამო. ოდესღაც მომხიბვლელი, შესანიშნავი მომღერალი, მერე კი დათალხული, დაყრუებული ქართველი მანდილოსანი სამხრეთ იტალიის ქალაქ რეჯიო-კალაბრიაში აწ გარდაცვლილი მეუღლის კეთილ ნათესავებს შეეხიზნა. ქუჩაშიც ვეღარ გამოდიოდა უილაჯო, სნეული, მარტოობაში ატარებდა ბედშავ მოხუცებულობას. მან მშობლიურ ბუდეში ერთი წელი იგალობა და საქართველო სამუდამოდ მიატოვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მადლიერი ქართველი ერის ძველი თაობა სიყვარულით იგონებს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეს, ახალგაზრდობა კი აფასებს და პატივს სცემს საამაყო წინაპარს.

ელენე თარხნიშვილი დაიბადა 1881 წლის 28 მარტს ახალქალაქში (ქართლში), ხოლო მონათლეს 1883 წელს სოფ. ავლევში (მიძინების აკლესიაში), სადაც ცხოვრობდა ბებიამისი ამირეჯიბი, რომელიც დედით ბაგრატიონის ქალი იყო, მამა — იოსებ რევაზის-ძე თარხან-მოურავი გაღარიბებულ თავადთა რიცხვს ეკუთვნოდა. მშობლებთან ერთად ელენეს აღზრდაში დიდი ამაგი მიუძღვის მამიდას, ცნობილ მწერალ ქალს ეკატერინე თარხნიშვილ-გაბაშვილისას. მშობლებს გარდა ელენეს კლასიკურ განათლებას ხელი შეუწყო თანაკლასელმა ე. ა. შევჩენკომ, რომელიც მას საინტერესო, ზოგჯერ უცხოურ წიგნებს აწვდიდა წასაკითხად. მუსიკალური განათლების მხრივ კი დიდი ამაგი მიუძღვის გენერალ ამირეჯიბის ოჯახს, სადაც პატარა ელო სათითაოთ უსმენდა მუსიკას. მუსიკის სიყვარული ჩაუნერგა აგრეთვე ანსატასია მაჩაბელმა, რომელსაც მომაკვდავმა დედამ თავისი ქალიშვილი ჩააბარა.

წკრიალა ხმით დაჯილდოებული ელენე ჯერ კიდევ თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მშენებელთ ხიბლავდა მუსიკალური სმენითა და სიმღერის ნიჭით.

ელენემ 1897 წელს ოქროს ჯვრით დაასრულა სასწავლებელი. მერე სამკურნალოდ უცხოეთში გამგზავრებულ მამას გაჰყვა. მოიარეს გერმანია, 1900 წელს დრეზდენში, სანატორიუმ „ლა-მანში“ ისვენებდა მამაშვილი, შემდეგ პარიზიც მოინახულეს, ხელოვნების კერები დაათვალიერეს და საქართველოში დაბრუნდნენ. მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული ელენე ოჯახებში გამართულ საღამოებზე საამო ქართული რომანსებით ატკბობდა სალონურ საზოგადოებასა და შინაურებს. 1905 წელს ახალგაზრდა მომღერალმა ივ. მაჩაბლის ოჯახში თავშეყრილი მცირერიცხოვანი საზოგადოების წინაშე ნაზი, წკრიალა ხმით შეასრულა ცნობილი ჰანგი: „მხოლოდ შენ ერთს“. სტუმრებმა მჭუხარე ტაშით დაუჯილდოეს. დამსწრეთა შორის იმყოფებოდა აკაკიც, რომელმაც დიდი ყურადღებით მოისმინა სიმღერა.

გახალისებულმა ელენემ, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1905 წელს პეტერბურგს მიაშურა. ჯერ ივანე მაჩაბლის ცოლისდა ბაბო ბაგრატიონთან დაბინავდა, რადგან სიძვირის გამო ცალკე ოთახის დაქირავება ვერ შესძლო. ცოტა ხნის შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრის, ყოფილ გენერალ-მაიორ გიორგი იორამის-ძე თარხან-მოურავის ქალიშვილებთან გადავიდა საცხოვრებლად. ვერა გიორგის ასულ თარხნიშვილთან ერთად ელენემ პროფ. პრიანიშნიკოვს მიმართა, რომელმაც გულისყურით მოუსმინა და მის ხმას სიმპათიური უწოდა, თანაც კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა. მოუცლელობის გამო ცნობილმა პედაგოგმა ვერ შესძლო ელენეს მოწაფედ აყვანა და მომღერალ ბრონსკის დედასთან, სიმღერის მასწავლებელ ქ-ნ ფონ-დაკესთან მეცადინეობა ურჩია. მალე საარსებო წყაროც გამონახა — დილაობით გამომძიებელთან მუშაობდა მდივნად, შუადღეს მუსიკის კერძო გაკვეთილებს იღებდა, ხოლო საღამოს იტალიური და ფრანგული ენის კურსებზე დადიოდა. დაკეტილ მეცადინეობით თუმცა ხმა შესამჩნევად სწრაფად არ ვითარდებოდა, მაგრამ სერიოზული ტექნიკური მიღწევები ჰქონდა.

თავნება ქალიშვილზე გამწყრალმა მამამ გული მალე მოიბრუნა და უსახსრობით გაჭირვებულ ელენეს შეძლებისამებრ დახმარება გაუწია. სამი წლის შემდეგ ხვეწნა-მუდარით ელენემ მამა დაითანხმა და მარტო გაემგზავრა იტალიაში. აურულდა დიდი ხნის ოცნება. დაუკავშირდა იმჟამად მილანში მყოფ ვანო სარაჯიშვილს, რომელიც 1907 წლის სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს თავზიანად დახვდა სადგურზე და პანსიონში მოაწყო. მესამე დღეს, როდესაც ელენეს ტიფი აღმოაჩნდა, ვანომ იზრუნა და კლინიკაში მოათავსა. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ვანომ უპატრონა ელენეს და მაესტრო ემა დოტისთან მოაწყო მოწაფედ.

ვ. სარაჯიშვილის მიერ შერჩეული მასწავლებელი ელენესათვის საუკეთესო გამოდგა.

ე. თარხნიშვილმა მილანში მოაწყო საუცხოო მუსიკალური სალონი, სადაც თავს იყრიდნენ ვოკალური ხელოვნების კორიფე შალიაპინი, ტენორების მეფე ენრიკო კარუზო, ტიტა რუფო, ტენორი არტურო ვიტა, კომპოზიტორები, დირიჟორები, ელენეს მყუდრო, სტუმართმოყვარე სალონში ერთმანეთს ხვდებოდნენ მილანში მყოფი მოსწავლე ქართველებიც.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ელენემ მილანში ზედმიწევნით შეისწავლა მთელი რიგი საოპერო პარტიები ისე, რომ მუსიკისმცოდნეთა ყურადღება მიიქცია.

1910 წლის ოქტომბერში ცნობილი კომპოზიტორი, ოპერა „სოფლის პატიოსნების“ (1891 წელს დაიწერა. თბილისში პირველად 1927 წელს დადგა) ავტორი პ. მასკანი დასს ადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად. გასტროლიორთა შეჯარჩევად მილანის „ლა-სკალას“ თეატრში კონკურსი გაიმართა. 14 კონკურენტს შორის პირველობა ჩვენმა თანამემამულემ მოიპოვა და 1910 წელს იტალიურ დასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა საგასტროლოდ.

ამერიკიდან იტალიაში დაბრუნებული თარხნიშვილი 1911 წლის მაისში „ლა-სკალაში“ დახურული დებიუტის შემდეგ ქალაქ მონცაში მიიწვიეს ოპერა „ტრავიატაში“. ელენე „ტრავიატაში“ გამოდიოდა ქ. სავონაში, რომლის მხცოვან მცხოვრებლებს ალბათ დღესაც ახსოვთ უცხოელი ქალის სიმღერა.

ელენე ახალგაზრდული გატაცებით ასრულებდა კომპოზიტორ გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურში“ მთავარ როლს. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო იგი II აქტში სიგიჟის სცენის დროს. პროფესორი პოტი მილანიდან დეპეშით იტყობინებოდა: ელენე თარხნიშვილმა ვიოლეტას როლის შესრულებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზეო. ქალაქ მოდენაში ელენე 12-ჯერ გამოვიდა „ტრავიატაში“. მხოლოდ ამის შემდეგ, 1911 წლის ნოემბრის მიწურულს ელენე მშობლიურ საქართველოს ეწვია და პროფესიონალი მომღერალი თავისი ხალხის წინაშე წარსდგა.

ვოკალური კულტურის ქართველ ოსტატთაგან ელენე თარხნიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია საოპერო სცენაზე, უცხოეთიდან სამშობლოში საგასტროლოდ ჩამოსული პირველი მახარობელი მერცხალი, ქართულ-იტალიური რომანსების პირველი შემსრულებელი და უკვდავების მომნიჭებელი.

სახელოვანი მამულიშვილის სტუმრობის გამო ოპერამ საზეიმო იერი მიიღო. მის მისაგებრებებს აურაცხელი ხალხი მიაწყდა. ყველა სპექტაკლის ბილეთები წინასწარ დატაცეს და ოპერის სალაროებთან აურზაური დგებ. გასტროლიორი თანამემამულეთა წინაშე პირველად ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ გამოვიდა და იტალიური სიმღერით ვიოლეტა გააცოცხლა. ე. თარხნიშვილის წარმატებას ხელს უწყობდა დირიჟორ ივანე ფალიაშვილის მადლიანი ხელი.

მშობლიურ სცენაზე ელენეს დებიუტმა თეატრალებს, კრიტიკოსებს და მუსიკისმცოდნეებს წერის სტიმული მისცა.

6 დეკემბერს „რიგოლეტოში“ თარხნიშვილმა ჯილდას როლი შესრულა და წარუშლელი შთაბეჭდილებაც დატოვა. იმღე-



* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 19, 1968 წ.

რა აგრეთვე კომპოზიტორ შ. გუნოს ოპერა „ფაუსტში“, სადაც არტისტული ხელოვნებით აღბეჭდილი თამაში ბუნებრივად შეესატყვისებოდა მარგარიტას კდემამოსილებას, ხოლო სანეტარო ხმის წკრიალი ოსტატურად ეკილოკავებოდა გუნოს მუსიკის ლირიზმს. ამ გამოსვლას პრესა აღტაცებით შეხვდა.

17 დეკემბერს საოპერო ამხანაგობამ წარმოადგინა კომპოზიტორ პუჩინის ცნობილი ოპერა „ბოჰემა“. თარხნიშვილმა საუცხოოდ შეასრულა მიმის როლი. ქართველმა მომღერალმა ქალმა არტისტული ნიჭით და მომხიბლავი ხმით დამსწრე საზოგადოებას განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა. ოპერის დასასრულს ნახულითა და მოსმენილით აღტაცებულმა საზოგადოებამ სამჯერ გამოიწვია იგი სცენაზე.

ე. თარხნიშვილს ღირსეული ბენეფისი გადაუხადეს, რომელმაც ზეიმის სახე მიიღო.



ამ საღამოს ქ-ნი თარხნიშვილი დიდად იყო აღფრთოვანებული და განსაკუთრებული გრძნობით მღეროდა.

3 იანვარს „ახალი კლუბის“ თაოსნობით ქართულ თეატრში წარმოადგინეს „ტრავიატა“. ელენე თარხნიშვილის პარტნიორი ალფრედის როლში ვანო სარაჯიშვილი იყო. ეს იყო ჯერ კიდევ მილანში დამეგობრებული ორი ქართველი მომღერლის ტრიუმფალური ზეიმი.

„ტრავიატას“ უსმენდა საგანგებოდ ჩამოსული აკაკიც. მუსიკითა და ორი ქართველის სიმღერით მოხიბლული მგოსანი თავის ერს ამცნობდა: „ჩამოვედი იმერეთიდან საკუთრად მის (ე. თარხნიშვილის. ა. ც.) ხმის მოსასმენად... ვნახე ქ-ნი ელენე სცენაზე „ტრავიატაში“ და გავკვირდი: მართლა გაუზრდია მეცადინეობით ხმა იმდენად, რომ არა თუ ჩვენს პატარა სცენას, დიდ სცენასაც არ შეარცხვენს!..“

ქართველი მომღერალი ქალი ქუთაისშიც ჩავიდა და 12 იანვარს საზოგადო საკრებულოს დარბაზში სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოში მიიღო მონაწილეობა.

ელენე აზერბაიჯანელებსა და ბაქოში შეხვედრებ თანამემამულეებსაც ეწვია და 1912 წლის 21 იანვარს საქველმოქმედო მიზნით გამართულ ქართულ საღამოში მონაწილეობდა.

სერგო ევლახიშვილმა საოპერო დასი შეადგინა ელენეს მონაწილეობით და 1912 წლის 10 თებერვლიდან 1 მარტამდე ქუთაისსა და ბათუმში 12 სპექტაკლი დადგა. ევლახიშვილის ანტრეპრიზის ესოდენ დიდი გამარჯვება, ცხადია, თარხნიშვილის მონაწილეობის შედეგია. მსმენელი აღფრთოვანებული ხვდებოდა მის გამოსვლებს „ტრავიატაში“, „რიგოლეტოში“, „ფაუსტში“. ქუთაისის გაზეთი სისტემატურად წერდა გასტროლიორთა დადგმებზე და ყურადღების ცენტრში ყოველთვის ელენე ჰყავდა.

14 აპრილს ქართულ თეატრში გაიმართა ელენე თარხნიშვილის გამოსათხოვარი გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც საქართველოს ბულბული ვ. სარაჯიშვილიც მონაწილეობდა.

შთაბეჭდილებებით აღსავსე ელენემ 15 აპრილს დატოვა თბილისი, პეტერბურგისაკენ გაემგზავრა და თან წაიღო თავისი ხალხის სიყვარული, კეთილი სურვილები და პატივისცემა.

1913 წელს ე. თარხნიშვილი ლივორნოში, ბრინდიზში, ლეჩესა და პიზაში მღეროდა. მილანის გაზეთ „რივისტა ტეატრალე მელო დრამატიკის“ 1913 წლის 7-14 აგვისტოს ნომრებში, ე. თარხნიშვილის პორტრეტთან ერთად, გამოქვეყნებულია ვრცელი წერილი, აგრეთვე სხვა იტალიურ გაზეთებში უხვად მიმობნეულია რეცენზიები, რომლებშიც აქებენ, ხოტბას ასხამენ, აღტაცებით იხსენიებენ მის ხმასა და არტისტულ ნიჭს.

არანაკლებ წარმატებით მღეროდა ელენე ისეთ დიდ ქალაქებშიც, როგორიცაა: მილანი, გენუა, ნეაპოლი, ტურინი, ვენეცია, ფლორენცია და სხვა. მაგრამ რადგანაც იქ მისი გამოსვლებისა და მოღვაწეობის შესახებ ჯერჯერობით დოკუმენტური ან ბეჭდური საბუთები არაფერი გვაქვს, ამიტომ მხოლოდ მათი ჩამოთვლით ვკმაყოფილდებით. მაგრამ არ შეიძლება ორიოდე სიტყვით მაინც არ აღვნიშნო ე. თარხნიშვილის მოღვაწეობა ქ. ბერგამოში, სადაც მისი არტისტული კარიერა დასრულდა და მისი საბოლოო სიმღერა ითქვა. ეს იყო 1924-1925 წლის სეზონი, ელენეს არტისტული მოღვაწეობის მეთხუთმეტე და უკანასკნელი წელი.

1920 წელს ელენე ცოლად გაჰყვა იტალიელ იშვიათ ტენორს და შესანიშნავ პიანისტ არტურ ვიტას, რომელიც შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. 1925 წლის სექტემბერში გაემგზავრა კიდეც და ბოსტონის კონსერვატორიაში პროფესორად მუშაობდა. მამის მძიმე ავადმყოფობის გამო ელენე მეუღლეს ვერ გაჰყვა ოკეანეს იქით და მილანში დარჩა. 1926 წლის 30 დეკემბერს ელენეს მამა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. საახალწლო მხიარულება დაობლებული არტისტის გლოვამ შეცვალა. იგი ქმართან განშორებასაც შეეჩვია და მარტოობას მხოლოდ მოწაფეები ურბენდნენ.


1954 წელს რომში ყურის ოპერაციამ და სასმენმა აპარატმა შთანთქა ელენეს ფულადი დანაზოგი. მერე, როგორც თვითონ გვწერდა, „ღარიბი ნათესავი სამადლო სარჩენი იყო“. სანუგეშოდ საღიღინებლად შერჩენილი ხმა, გაყვითლებული ძველი ფოტოები და ჟურნალ-გაზეთების რეცენზიათა გაცრეცილი ამონაჭრებიღა ჰქონდა. შესციცინებდა ნაცნობ სახეებს, გასცქეროდა ცის ტატნობს, მოლივლივე ზღვას და აკაკი წერეთლის მიერ მიძღვნილ ლექსს გულდათუთქული მწარედ მოსთქვამდა:

„ნეტავ იმას, ვინც შენს ტკბილ ხმას
ერთხელ კიდევ გაიგონებს!
გულის ვნებას და გონებას
ათაყვანებს!.. დაუმონებს!..“

1961 წლის 2 აგვისტოს ელენე თარხნიშვილს უცხოობაში აღმოხდა სული. ტანჯვაში გარდაცვლილი ხელოვანი ქალი უცრემლოდ დაკრძალეს იქვე, იტალიის სამხრეთ ქალაქ რეჯიო-კალაბრიაში, ისე რომ ბევრს არავის გაუგია და სამგლოვიარო დებეშაც არსაიდან მიუღიათ. თანამემამულეთ ისღა დარჩენიათ, რომ მოგონებით პატივი სცენ უცხოეთში ტანჯულ ქართველ ქალს, „გადატეხილი სალამურის“ ღირსეულ ყოფილ პარტნიორს ელენე იოსების ასულ თარხნიშვილს, რომლის სახელიც ამიერიდან ქართული ეროვნული კულტურისა და სცენური ხელოვნების ისტორიასაც დაამშვენებს.

• • •

სურათებზე: მე-6 გვერდზე — ელენე თარხნიშვილი (ზემოთ); ელ. თარხნიშვილი ვიოლეტას როლში, მე-7 გვერდზე — ელ. თარხნიშვილი ჯილდას როლში.



ივ. გერიტაშვილი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში.



აკადემიკოსი გ. ახვლედიანი (მარცხნივ) და პროფ. დ. მგელაძე.



უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ფერწერის კაბინეტში.

[-10] ფ. 11/94

მხოლოდ ფაქტები •

ასე იზარდა

● ქართული უნივერსიტეტის დაარსება ქართველმა ხალხმა იზეიმა 1918 წლის 26 იანვარს ძველი სტილით, პარასკევს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს... უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.

● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით ჩაედგა სული. ამ ერთადერთი ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

● პირველი ლექცია ჩატარდა 30 იანვარს. ლექციას კითხულობდა ივანე ჯავახიშვილი. აუდიტორია ვერ იტევდა მსმენელებს.

● მოწვეულ სპეციალისტებს ზრდიდა 18 პროფესორ-მასწავლებელი, პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ნალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, დიმიტრი უზნაძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ავალიანი, მეცნიერ-ხელმძღვანელები: იუსტინე აბულაძე და ექვთიმე თაყაიშვილი, ლექტორები: ელისაბედ ორბელიანი, ილია ყიფშიძე, ვანდა ღამბაშიძე.

● 1918 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტს შეემატა ახალი გაერთიანებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები, 1921 წელს კი — აგრონომიული.

● პირველი დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა აკაკი შანიძემ 1920 წელს.

● 1922 წელს გაიხსნა პოლიტექნიკური და სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტები.

● 1922 წელს საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს რვა კურსდამთავრებული: ს. ჯანაშია და თ. ლომთათიძე — საქართველოს ისტორიაში, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია — ქართულ ენაში, კ. ბაქრაძე — ფილოსოფიაში, ი. სურგულაძე — სახელმწიფო სამართალში, შ. ამირანაშვილი — ხელოვნების ისტორიაში, გ. ჯაკობია — ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

● 1922 წლის გაზაფხულზე მოხდა პირველი გამოშვება. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაამთავრა 28 სტუდენტმა, რომელთაგან 3 ქალი იყო. მათ შორის იყო პირველი სტუდენტი ქალი მედეა ღამბაშიძე, რომელმაც პირველმა შეიტანა უნივერსიტეტში საბუთები.

● დღეს უნივერსიტეტში 15 ფაკულტეტია: მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ისტორიის, კიბერნეტიკის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეკონომიური, იურიდიული, ხელოვნების, უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების.

● უნივერსიტეტის 102 კათედრაზე ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევა 1.000-მდე პროფესორ-მასწავლებელი (ამათგან 376 ქალია), მათ შორის 34 სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების წევრი, 165 — პროფესორი.

● უნივერსიტეტის პროფესორებიდან 27 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, 14 — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 60 — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 6 — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 3 — ლენინური პრემიის ლაურეატი.

● უნივერსიტეტში მოღვაწეობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 3 ნამდვილი წევრი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ი. ვეკუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ი. ბერიტაშვილი. უნივერსიტეტში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 4 წევრ-კორესპონდენტია: ძველი ქართული ენის კათედრის გამგე ა. შანიძე, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე გ. ახვლედიანი, სემიტოლოგიის კათედრის გამგე გ. წერეთელი და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე შ. ამირანაშვილი.

● 13 ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. დაწესებულია 43 სახელობითი სტიპენდია, მათ შორის ვ. ი. ლენინის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ივ. ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კორნელი კეკელიძისა და სხვა.

● უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების 1.500-ზე მეტი წევრი იძენს მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევებს.

● უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაარსდა 1918 წელს და მის პირველ გამგედ დაინიშნა გიორგი ახვლედიანი. ამ ბიბლიოთეკის ფონდში შევიდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების, უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის, პროფ. ალ. ცაგარელის და სხვათა მდიდარი ბიბლიოთეკები.

● აქ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება ძვირფასი პერიოდული გამოცემები, იშვიათი წიგნები: 1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და 1670 წელს გამოცემული ფრანცისკო მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკა“, 1712 წელს ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, პირველი ქართული გაზეთის „საქართველოს გაზეთის“ კომპლექტი...

ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი აღემატება ორ მილიონ ნახევარ ტომს.

● უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიდან 376 ქალია. მათ შორის 4 კათედრის გამგე, პროფესორები: თინათინ მრევლიშვილი, ქსენია ცხაკაია, ქსენია სიხარულიძე, დოცენტი რუსუდან გაჩეჩილაძე.

● უნივერსიტეტში აღზრდილ გამოჩენილი მეცნიერი ქალები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები თინათინ წერეთელი და ქეთევან ლომთათიძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ქალები — თინათინ მრევლიშვილი, ანა ჩხეიძე, ქსენია ცხაკაია...


● ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა პირველი დოქტორი ქალები არიან ნინო მაღნარაძე და ელენე ობოლაშვილი.

● საყოველთაო აღიარებით სარგებლობს პროფესორების: ნინო ციციშვილის, ვიოლეტა ცისკარაძის, ქეთევან ლომთათიძის, თამარ ბელინსკაიას, მერი იანქოშვილის, ნელი კრეიცის, თინათინ წერეთლის, დოცენტ ნინო ქადეიშვილის და სხვათა შრომები.

● უნივერსიტეტის გამომცემლობაში 1967 წელს გამოუშვეს 3 მილიონზე მეტი ნაბეჭდი ფურცელი, დაიბეჭდა 305 სახელწოდების ბროშურა და წიგნი.



ნორვეგიელი მეცნიერი ჰ. ფოქტი (მარცხნივ) და პროფ. ალ. ბარამიძე უნივერსიტეტის რუსთველოლოგიის კაბინეტში.



პროფ. გ. წერეთელი (მარცხნივ), ამერიკელი ენათმეცნიერი რ. იაკობსონი და პროფ. თ. გამყრელიძე (მარჯვნივ).



გორკის კოლეჯის მასწავლებელი ჟ. სუდრესი (ზუაზი), თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან.



პროფ. ს. ყაუხჩიშვილი კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტებთან.

ჟურნალ „საქართველოს“

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.